ფასი 10 კაპ.

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი





№ 9



თბილისი

ქორწილი გურიაში.

ამის მზგავსი, გურულ[illegible]
არ მოსწრია ძველათ რამე,
მარტო მაყრის ანაბარა
-ეიფობდენ დღე და ღამე.

დღეს კი მოდის ბოქაული,
სტრაჟნიკი თუ ყაზახ-რუსი,
და საჭმელზე ნუ იდარდებ
ცოცხალი თუ გადაურჩი.

ან კი როგორ გაარჩიონ
მართალი და „მინავატი"?
მაგრამ უფრო იჩაგრება
ინდოური, ქათამ-ბატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბარი ეთიკასთან.

### დიალოგი.

გამხდარ-გაძვალტყავებული ეთიკა მიკუნჭული ღარიბების უბანში. ტანზე რაღაც ნაფლეთები აცვია, სიცივისგან ძაგძაგებს და ნაღვლიანათ ოხრავს. ამ დროს გამოივლის მისი შაგირდი და მოწიწებით თავს უკრავს.

შეგირდი. ეთიკას ვახლავარ! როგორა ბრძანდები? (თანაგრძნობით) რა დაგემართათ, ეგრე რათ გამხდარხართ?

ეთიკა (მწარეთ ამოიოხრებს) ე...ეხ, შვილო, რა გამასუქებს! რეპრესსიის სუსხმა დამჭკნო თუ არა, ყველგან ჯანდური მიჭირეს— „თვალიც გამოგძვრება, ძვირათ გვიჯდება შენი შენახვაო!“ ისევე ძველი მეგობრები მიცოცხლოს ღმერთმა, თორემ ცუდათ იყო ჩემი საქმე! ერთი დრო არავის შერჩენია შვილო: რა პატივში ვიყავ ამ ორი-სამი წლის წინათ და ახლა კი რა დღეში ვარ.

შეგირდი (გაოცებით) როგორ, ნუ თუ ,,ისარმაც‘‘?...

ეთიკა. (მწარეთ ჩაიცინებს) შენ კი გაგახარა ღმერთმა! ნუ თუ გჯერა, რომ ოდესმე კი პატივსა მცემდა? არა, შვილო! სანამ ავტონომიის მიღების იმედი ჰქონდა, ქვეყნის სათვერისათ მილაღავებდა, თორემ, შენ არ მომიკვდე, ჩემი ჭვალი არა დროს არ ადგა! ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ ხო „ატკრავენნათ“ გამომიცხადა: „ჩვენ შენთვის არა გვცალია, სოციალ-დემოკრატებს უნდა გაუსწორდეთ, ძლივს ვიგდეთ დრო“-ო... მართლა, რა ქნეს: „გამოვიდენ ამერ იმერნი“?.

შეგირდი. არ ვიცი, ჯერ არა ისმის-რა... მგონი, იმათმა მთავარ-სარდალმა ისევ კუროპატკინის ტაქტიკა ირჩია. ფიცულობენ კი, რო დამეც იმათთანა ხარ, დღეცა...

ეთიკა. „ფიცი-ფურცელი, ხახვის ფურცელი!“, ის კი არ დაიფიცეს—„ბოიკოტს ვაცხადებთო“... ჩუმათ კი ჩემ მოსისხლე მტრებს მისცეს ხელი! ფიცსა რა ბაჟი აქვს? „ზაკავკაზიე“-კი არა ფიცულობს, ვითომ კარსა და ბანს ვუნგრევ, მაგრამ რაც გუგუშვილი შეასვენა შიგა, ცხვირიც არ შემიყვია‘ დედაშვილობამ!

შეგირდი. „ნიშადურში“ კი არ დაბრძანდები? ვალერიან გუნიას არა სწყალობ?

ეთიკა. (გაოცებული) ვალერიანი ვინ არის? არც-კი ვიცნობ, პირველათ მესმის!

შეგირდი. აი, „გაფრიადებული“ ოთარბეგები რო ჯანდურ-ამოკრულნი დაუბრუნდებ უკანა.

ეთიკა. (ჩაფიქრდება) მოიცა, მოიცა.. რადაც გამიგონია... ის ხომ არ არის „პიესების ზაკროიშჩიკს“ რო ეძახიან? გოთუამ რო ნაღარა დაჰკრა: „არიქა ქართველებო! საქართველოს მზე ჩადისო!“

შეგირდი. დიახ... დიახ, სწორეთ ის არის. წაუსვეს თუ არა „ქანქარის“ მალამო, მაშინვე მობრუნდა, თორე, შენი მტერი, საქართველო დაიღუპებოდა! დასწყევლა, ეს რამდენჯერ გადავრჩენილვართ ხიფათსა!

ეთიკა. ამბობენ: იმანაც არ შეინარჩუნა ქართველების სიკეთე ნაგავს ორ შაურათ აწვდისო...

შეგირდი. მართლა, ერთხელ მაინც შეიარე, სუფთა ჰაერი შეუტანე ახმახ-ჩახმახებსა.

ეთიკა. არა, შვილო! სიბინძურე მწყენს... ჩემი გუჭი ვერ მოინელებს მონადირესებურ სიცრუეს—„вретъ какъ охотникъ“ ხო გაგიგონია?

შეგირდი. ეთიკა, ერთი რამე უნდა გკითხო. გეთაყვა, გულ-ახდილათ მითხარი, რა უფრო გწყენს: როცა ავტორი თავისივე ნაწარმოებს მეორეთ დაბეჭდავს რედაქციის ნებართვით, თუ როცა რომელიმე პუბლიცისტი სხვისას მოიპარავს, მაგალითათ ბროკგაუზის ენციკლოპედიურ ლექსიკონიდან?

ეთიკა (წამოწითლდება) ოჰ! ოჰ. მეორე! ეგ ხო პლაგიატია, შვილო! მე მახსოვს ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ვიღაც დაიჭირეს და კინაღამ სირცხვილისგან გავიწურე! აი, მე თვითონ გეტყვი, რაცა მწყენს: როცა მშვენიერ მონნა-ვანნას „მუხტარ-ფაშათ“ მონათლავენ, როცა მ. ად—ლივით, კერძო ლაპარაკს გაზეთის ფურცლებზე გადაიტანენ, როცა ჯერ—„მენშევიკი, მერე „ბოლშევიკი“ ქლეხში გადაკრულ სტაქან არაყით ფედერალისტი ანუ „ჭეშმარიტი ქართველი“ გახდება, როცა, ვალერიან გუნიასავით თავისივე „ჟურნალში“ რეკლამას იკეთებენ... როცა „ნიშადური“-სებურ მწერლობას პასუხს გასცემენ.

შეგირდი. როგორ, მაშ ლანძღვა დაუთმოთ?!

ეთიკა. ხვალ დედ-მამასაც შეგაგინებენ და მაშ თქვენც უპასუხეთ! თუ ვერას მისწვდნენ, გარეგნობას დაგიწუნებენ: ან ცხვირ-გძელას დაგიძახებენ, ან სალამოსეეფ შავს, ან ,,ალქაჯს‘‘... მაშ თქვენც ბრუციანი დაუძახეთ!

შეგირდი. მართლაც, პირველათ მესმის, რო მწერალი უთუოთ ლამაზი უნდა იყოსო!

ეთიკა. მეცა, შვილო! გუნიამ შემოიდო „მოდათ“ არშიყობა პრესსაში თორე, შენ არ მომიკვდე, დავბერდი და ჯერ არსადა მსმენია, რო ჟოლემიკაში სახეს ვიხმე მისწდომოდეს! (ამოოხვრით) ე...ეხ! ვაი ქვეყნის ოხრობასა, რო რიგოლეტტო, გოთოშია-თავდგირიძე-დონ-დიეგო და გუნია... მწერლებში ითვლებოდნენ! რადათ მინდა თავი ცოცხალი, ანკი როგორღა მიდგია სული?! ჩემი საუკეთესო მეგობრები მიწაში წვანან, მტრები კი ზეზე ნავარდობენ! (თავ პირში იშენს) თქვე საცოდავებო, მაგისთვის ჩაიკალით თავი, რო გამდილი სუფრა ამათ დაუტოვოთ?! ქართველი და რუსი პურიშკევიჩები გაახაროთ?! ვის ამარა დამტოვეთ, ვის ამარა?! (მწარეთ ქვითინებს).

შეგირდი (ამშვიდებს) არა უშავსრა, მზე ისევ ამოვა, გამოიდარებს... მერცხლები მოფრინდებიან, ღამურები დაიმალებიან...

ეთიკა (მიხრწნილი ხმით) როდის, როდის-და?!! მანამდე კიდეც ჩამთელავვენ!!! (ტირის).

**მორიელი.**



## სცენა სოფლის გზაზე

### (გოგია შეხვდება ეფიზოს)

**გოგია.** რა ქენი ეფიზო, რავა დამჯავრიანებული მოხვალ?

**ეფიზო.** შენმა მტერმა და დუშმანმა ქნას იმისთანაი, ჩემი მარჩენალი თედორაი ჩუტიე იმ დწყევლილებს ხელში და მე ქე მოვეთრიე აგერ.

**გოგია.** რავა თუ ჩუტიე! მეუწია სალდათობა?

**ეფიზ**ო. რა ვიცი დედავ, ხუცესმაც მიღალატა და მწერალ მამასახლისმაც. ჩვენი მამასახლისი აქანაი გვიყლიპავს თვალებს ოჩხამურის გობიასავით, თვარა თურმე იქინეი ძაღლათაც არავის მისჩენია. თუ რამე მქონდა აგენმა ამატყავეს, აგი კუნტი ქმარი და თვალდაფსებული შვ-ლი ტყულაი მათრევიეს: „ნიჩევო, სოფელი გარჩენსო“ დამიმოწმეს. მერე უშველა ღმერთმა და ვინცხამ კარებთან ჩამიფუჩუნა: „მებრალები შე საწყალოვო და ხვალ თუ ას მანეთს მომიტან მე გაგიკეთებ საქმესო“. ახლა ამიზა დავრბივარ ცოფიან ძაღლსავით, ყველაფერს გავყიდი, გულზე ქვას დევიკიდებ, ვითხოვ, ოღონდა ჩემს თედორას დევიხსნიდე.

**გოგია.** ვაიშავ, ას მანეთს ახლა სად იშოვნი, ასჯერ გამოგვახინკილა ეგზეკუციამ. იმ დედა გაღლეტილებმა აგენსავით ტყუილათ არ შეგიჭამონ.

**ეფიზო.** ამას რავა ვიფიქრებ დედავ, იგი პატიოსან კაც გავდა.

**გოგია.** პატიოსანი კაცი და ქრთამი რავა შეიძლება, მარა ერთი უნდა იფიქრო კაცმა: ყველას ხომ ასე უჩივიან აბა და აგი ყურუმსალლები მე მაგზანიან ნეტაი?!

**ეფიზო.** აბა მე რა ვიცი შგილო, ღმერთი ფშვინვას გუუჩენს ჩემს შემწუხებელს (მიდის).

**გოგია.** (წაილაპარაკებს) უსამართლობამ პალიასტომი დააქციაო, აგი არაა! ვარჟებულები იგენს მიართვი, კუ ტები კი შენ არჩინე! ჰაი-ჰაი, შარშანისწინ ამას ვერ გაბედავდენ. ღმერთი ისე რავა მომკლავს რომ ერთი კიდევ არ ვნახო მაგენი ჭირიან ქათამსავით კუდ ჩამოყრილები.

**შხანკოლა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეშმაკის მოგზაურობა.

უმთავრესი მიზანი ჩემი მოგზაურობისა ქიათურის მაღაროების დათვალიერება გახლდათ, მაგრამ კეთილ ვარსკვლავზე დაბადებულს ბედი მუდამ თან მახლავს.

უცებ მშვენიერ ნადიმს შევეფეთე!

აქ უნდა განვაცხადო, რომ შორაპნის მაზრაში პოლიციელებს შემდეგ ყველაზე მეტი პატივი არტისტებსა აქვთ, რაიცა გამოიხატება სამაზრო ადმინისტრაციის სიყვარულით.

ნადიმი ჩინებული იყო და სხვათა შორის მასზე წარმოდგენილი იყო ქიათურის სცენაც. „რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“ ამბობს ანდაზა და მეც არტისტათ განვაცხადე თავი.

ნადიმის უფროსმა, რომელიც ამავე დროს მაზრის უფროსიც იყო გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოთ და კერძოთ კი თეატრი მოიხსენია განსაკუთრებულის სიყვარულითა და თანაგრძნობით. ,, მე მრწამს ორი დაწესებულება ხალხის საკეთილდღეოთო, სთქვა მან, ეს სახალხო სკოლაა და თეატრიო‘‘.

განცვიფრებაში მოვედი! ,,მესმის უფალო ხმა შენი და განიხარებს გული ჩემი“ მეთქი ვფიქრობდი და მაგონდებოდა ქიათურის მასწავლებლები, რომლებიც სრულიად უმიზეზოთ ოთხი-ხუთი თვე აწანწალეს აქეთ-იქით. აქ სავსებით სრულდება თქმულება: ,,სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი‘‘.

უფროსის შემდეგ ,,ხელოვნების‘‘ შესახებ სიტყვა ითხოვა ერთმა დაბალმა პოლიციის მოხელემ, რომელიც თავის მხრივ გატაცებული ყოფილა თეატრის და უფრო-კი არტისტების **„სმენით“** ოკოლოდოჩნიკმაც მოკლეთ გამოსთქვა თავისი აზრი სასცენო ხელოვნების შესახებ და უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაცა კერძოთ ქიათურის დასისა გამო, რომ გააჩუმეს.

ამის შემდეგ მეჯლისმა უფრო მხიარული ხასიათი მიიღო და ერთმა არტისტთაგანმა გასაოცარის ენა-მოქნილობით ჩაარაკრაკა რამოდენიმე გურული სცენა. დამსწრე პოლიციელთაგან ყველა მადლიერი დარჩა ასეთი თავაზიანობითა არტისტის მხრივ და გურულებისადმი სიყვარულიც ერთი-ორად განამტკიცა მათ გულში.

მე კი აღმეძრა უზენაესი სურვილი ქიათურულ წარმოდგენაზე დასწრებისა და გეახელით კიდევაც, როცა ,,და-ძმას‘‘ ეპირებოდენ.

თეატრი ხალხით სავსე იყო, რომ დარბაზში შემოვიდა ქიათურის ბოქაული. ის თურმე არც ერთ წარმოდგენას არ აკლდება, ისეა გატაცებული ხელოვნებით. ,,და-ძმა‘‘ ხომ კერძოთ მეგრელთა ცხოვრებიდან არის ამოღებული და ბოქაულიც ,,ჭეშმარიტი მეგრელია‘‘.

„და-ძმა“ როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა ვ. გუნიას სახელოვან კალამს ეკუთვნის და აქ გარდა მაგისა არტისტებიც განსაკუთრებული ნიჭებიანი გამოდგენ. საუცხოვოთ მიმდინარეობდა მოქმედება მოქმედებაზე და მსმენელნი, ბოქაულთან ერთად სამეგრელოს წარსულში გრძნობდენ თავს.

მაგრამ აი დაიწყო ადამიას წამება და ქიათურის ბოქაულმა საშიშარი ქენჯნა განიცადა. თვალი დაუბნელდა, ნერვები აეშალა, მუხლებმა კანკალი დაუწყო, გულმა ცემას მოუმატა, მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა და რაკი ველი არ მოითმინა ამ საშინელების ცქერა ისევ გარეთ გავარდა.

მე მდუღარე ცრემლები გადმომცვივდა! მაგრამ ეს არ იყო ადამიას წამებით გამოწვეული კურცხალი. ეს იყო მხილება. მე ვინანიებდი საკუთარ შეცდომებს. ყოვლის უწინარეს გამახსენდა ვექილი გვაზავა, რომელიც ამ ბოქაულის დაცვისათვის გავამათრახე. რას ვერჩოდი მე იმას?! ჯოჯოხეთს გეფიცებით არ ვიცი... გამახსენდა მთავრობა, რომელმაც მას „უფლებათა გადარჭაბება“ დასწამა. გამახსენდნენ ასნი და ათასნი კორესპოდენტნი, რომელნიც თითქმის ერთ ხმათ აუგებდენ ამ ღვთის ნიერსა და გულ-ჩვილ ბოქაულს, რომელსაც არ ძალუძს ადამიანის წამებას უყუროს მაშინ როდესაც ეს სცენაზე ხდება და არა პოლიციის ნაწილში.

ნუ თუ სირცხვილი არ არის ასეთ პოლიციელს ადამიანმა „უფლებათა გადაჭარბება“ დასწამო?

მცირე ხნის შემდეგ, ესე იგი როცა შესწყდა, წამებული ადამიას ხმა ბოქაულიც შემობრძანდა დარბაზში და დიდი საყვედური განაცხადა თავისი ნერვების შესახებ. სწორეთ ამდროს მეც მივიღე დეპეშა ხონიდან რომელშიაც მისაყვედურებდენ: „რა ამბავია, მაგ შავ ტალახში ხომ არ გინდა ჩარჩე, ერთი აქეთაც ჩამოირბინეო.

მეც აღარ მოვუცადე არც წარმოდგენის გათავებას, არც მასწავლებელი ქალის გაჩრეკას და დაჭერას, არც სხვა და სხვა სამედიატორო სასამართლოებს, არც არტისტების თხოვნას და ხონისაკენ გავფრინდი.

**ეშმაკი.**

---

# ახალი ამბავი.

როგორც გავიგეთ კარიკატურებიანი ჟურნალი „ეკალი“ კვირეში ორჯერ გამოვა და ორივეჯერ იქნება წერილები მუდმივი თანამშრომლებისა ,,მიმინოსი‘‘ და ,,ჭალარასი‘‘. ფასი იგივე დარჩება, სახელდობრ მჟავე კიტრი.

* * *

სკოლის კომიტეტმა გადასწყვიტა თფილისის სააზნაურო გიმნაზიაში პირველი ივნისისათვის უთუოთ მზათ იყოს ფეჩები, რომ ზაფხულის თვეებში მოსწავლეები არ გაცივდენ.

ამასთანავე დაადგინა არ გაიხსნას მეექვსე კლასი იმ დრომდე, ვიდრე გრიგოლი მასწავლებლობაში არ გამოეჩვევა.

* * *

ამბობენ გურიაში ჯვარი მამასახლისებმა უნდა დასწერონ მსურველებს, ვინაიდან საჭიროა ადმინისტრაციის ყურადღება ამ ,,საიდუმლო‘‘ მოქმედებაშიაცო. პრიჩედნიკების მოვალეობას მწერლები აასრულებენ.

* * *

ეს თვე იქნება რაც ბ. პაისის სახელოსნოს ხუთი მუშა გაიფიცულა და ხაზეინისათვის ეკონომიური მოთხოვნები წარუდგენია. ზ. პაისს არც უცხელებია და არც უციებია ამდგარა და გაფიცვის დღიდან თფილისიდან გაპარულა, სანამ მუშაობას არ დაიწყებენ მე მათ არ ვეჩვენებიო. მუშებს შეშინებიათ: ვაი თუ ხაზეინი სამუდამოთ დაგვეკარგოს სჯობს მუშაობა დავიწყოთო. როდესაც მათ მუშაობა დაუწყიათ ბ. პაისიც უჩინ-მაჩინის ქუდით სახელოსნოში გაჩენილა.

* * *

ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებსა და მუშებს გადაუწყვეტიათ. არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთნოდენ, რადგანაც პარტია ბრძოლით სცდილობს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ კი ბრძოლა არ ესაჭიროებათ, ვინაიდან უიმისოთაც გულკეთილი ხაზეინები ჰყავთ (გამგეობის წევრები) და უბრძოლველათ აძლევენ მათ როგორც ჯამაგირების მომატებას ისე სამუშაო დროს შემცირებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოცანა.

(ჩიბათლებისათვის)

გუშინ-წინ რომ ყოყოჩობდა
წითელ რაზმში ურადნიკათ,
დღეს პირ იქით ირიცხება
ხულიგანთა „პამოშნიკათ."
გაიძახის დემოკრატებს
წამოვადენ ცხვირში ძმარსო...
სახელს ჩუმათ გეტყვი ბოლოს,
თუმცა თავში ირტყამს ქვასო.

დაუდეგარი.

(ლანჩხუთისათვის)

გარისხული ტუტუც მურა,
ენა მყრალი და ავ-გულა,
მასწავლებელ-მოსწავლენი
რეპრესიებით დასწურა;
ძველ-ბლაღოჩინ მასწავლებლებს
დანოსები გაუხურა,
მათ ლანჩხუთში აღარ უშვებს
და იძახის „ურა ურა".

შხანკოლა.



## პროვინციელი კორესპონდენტის ჩივილი.

რა გინდა ქნა! რა გინდა სთქვა?
ან და როგორ გინდა სწერო,—
მყუდროება არ მოგესპოს
და არავინ გადიმტერო?
„მართლის მთქმელსა ყბაში ჰკრესო"
ასეც ხსნიან ამ თქმულებას
და საქმითაც მის დაცვაში
იჩენენ დიდ ერთგულებას.
მაგალითად, „ენს" რომ ჰკადრო:
„ნუ ჰგევხარო გამკვრელ მგელსა",
ის პირ-აქეთ შემოგწყრება
და ხმალზეც გაიკრავს ხელსა.
კიკოლიკა რომ ამხილო
ერთხელ, ორხელ ყრილობაში,
უეჭველად დაგიხსომებს,
თუ იქვე არ გთხლიშა ყბაში.
და მის შემდეგ გაზეთებში
მასზე სხვამ რომ რამე სწეროს,
ნიშანში შენ ამოგიღებს,
არ იფიქრო—დაგიჯეროს.
საიდუმლოდ მოგიხერხებს,
რომ შეემთხვა ხათაბალას,
და ბადეში გამოგახოვს:
გაგრძნობინებს თავის „ძალას".
ან იქნება ყოყოჩაძე
სიყალბეში დაიჭირე,
გულმა ველარ მოგითმინა,
ეგ საქვეყნოთ დაიყვირე.
შემოგიბღვერს: „როგორ სთქვიო".
„ანგელოზებს დაგიფეთებს"
და ტყავი თუ შეგარჩინა,
„მასაჟს" მაინც გაგიკეთებს.
ეჰ, როგორ-ღა უნდა სწერო
ამ უხერხულ პირობებში
ისე, რომ „სარწყილეს" ასცდე,
ან ხელი არ გტაცონ თმებში!!.

ნ. ზომლეთელი.

## ქართველი მოღვაწეები.



ვასო აბაშიძე.

ვინ არის ვასო აბაშიძე?—ის არტისტია.

რა არის არტისტი? არტისტი ვასო აბაშიძეა.

—

ღმერთი სავსებით არ მოიძულებს არავის და არც ქართული სცენა ყავს მოძულებული. თეატრი მარტო შორაპნის მაზრის უფროსს არ მიაჩნია მეორე სახალხო სკოლად და მართლაც ხალხის აღზრდა განვითარებაში თეატრს თავისი წვლილი შეაქვს.

ვასო აბაშიძე ქართული სცენის იღბალზე დაიბადა და ღვაწლიც ბევრი დასდო მას. 25 წლის იუბილეი ქართულ სცენაზე მოღვაწეობისა კარგა ხანია რაც იდღესასწაულა და მიუხედავათ მოხუცებულობისა ჯერაც ყოჩაღათ დააბიჯებს ქართულ სცენაზე.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მისი მოქმედების ფარგალი საზოგადოთ ქართული და კერძოთ თფილისის ტიპებია. საზღვარ გარეთ ფეხის გადადგმა აგრე რიგათ არ ეხერხება. სამაგიეროთ შინაურობაში შეუდარებელია და ჩვენი სცენისათვის ესეც დიდი ღვთის წყალობაა.

მწერლობაში მისი მოღვაწეობა ისე დიდი არ არის, როგორც მაგალითად ვალერიან გუნიასი და არც ისე უნიკო.

ისტორიკოსი.

## ნადიროვის მამული.

იცი ძმაო ეშმაკო
ჩვენკენ რა ამბავია?
თურმე შენი მათრახი
ნამეტნავად მწვავია.
ვისაც მოხვდა კუდითა
აკვნეს ააწკმუტუნა
ტანში სიცხე მოჰგვარა
ტვინი გადმოუბრუნა.
ვინც კი იგრძნო სიმწვავე
შიშით ფერი ეცვალა
თავის დადგენილება
ჩემ გემოზე შესცვალა.
ამ სიკეთის გამოთა
ჩემზედ იყოს ტომბახი,
აქ რომ კარგად იხმარე
ევ სამოთხის მათრახი.
თათარს უთქვამს თათრულად:
„ყამში ჯანაშტან ჩიხტი" *)
მეც ამისთვის ძმობილო
დიდსა მადლობას გიხდი.

თითონ იცის.

*) მათრახი სამოთხიდან გამოსულაო



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიზმრის ახსნა.

**თუთიყუში იხილო კაფედრასა ზედან მჯდომარე**—სასაცილოა: ჟამსა რომელსა სიზმარი ესე მოასწავებს პედაგოგსა „ერთ-ლექსოვანსა"; რომელი „მარად ეტრფოდეს" მამულსა, ადგილისა თფილისა მომნიჭებელსა და შეჯდომილი აზნაურთა გიმნაზიისა კათედრასა ზედან უკუიქცეს მუნით ყრმათა ღაღადითა პატივცემული.

სხვათა ჟამთა შინა სანახაობა ესე კვალად საცინელია, ვინაიდან მოასწავებს სარცხვენელსა ,,ეკონომისტსა'' ,,ჭალარად'' წოდებულსა, რომელიც თანახმად ფრინველისა ზემორე ხსენებულისა იტყოდიეს ლექციასა, რომლისა გაეგება არარა.

**ბეკეკა იხილო გამოსული უფლება თა მგელთა დასაცველად.**—მრჩობლ-საცინელია:

სიზმრისა ამისა შემდგომად ყურთა შენთა ისმინონ ხმანი საკვირველნი, გამართლებად ,,ადვაკატისა'' მის გვაზავას მიერ ბოქაულისა ერთისა, რომელსა დასწამეს სიჭარბე უფლებათა თვისთა მოქმედებასა შინა ,,მოქალაქეობრივთა''.



### გუნიას სიმღერა.

მე ვარ და ჩემი „გოდორი"
ამყროლებელი არისა,
„ესფერთა" საკურთხეველი,
ბადალი მზე და მთვარისა!..
მო, ჩავიხედოთ გოდორში,
დავთვალოთ ვინაც არისა
მოძველებული ძეხვები
ჩვენი სამშობლო მხარისა...
—ეს, ევდოშვილი ბრძანდება
ეს, ,,რიგოლეტო'' ქებული,
ეს ,,მონადირე'' უზრდელთა
ზრდილობას გადარებული.
ეს ,,თომა პუსა'', ,,ჩახმახი''
ეს სიმონ ქვარიანია,
(რაც უნდა მძიმე დასწეროს
მჩატე და ქარიანია!)
აი ,,რიშ-ბაბა'' მოხუცი,
ვენაცვლე მისსა ქართულსა!
თარგმნის და თარგმნის ხალხისთვის
უზომო სიბრძნეს სპარსულსა.
ეს ,,ბიჭი'' გახლავთ, ეს ,.ფაჩუ'',
ეს ,,კოტე ენოსელია'',
ათასი კიდევ მიწყვია
ძეხვები მოუთვლელია.
ეს არის ჩემი ,,გაზეთი'',
ამყროლებელი არისა,
,,ეს-ფერთა'' საკურთხეველი
ბადალი მზე და მთვარისა.

კა-კო.



### ბენია და ბეშტია.

**ბეშტია.** ვაი, ვაი, მიშველე,
სად ხარ ძმაო ბენია?
გასაჭირში ლალატი
როგორ არა გცხვენია?
**ბენია:** მეც შენებრ ვიტანჯები
საყვარელო ბეშტია,
შენი სისულელისთვის
მეც მომაბეს ,,ჟეშტია''.
**ეშმაკი:** სულ ,,ჭალარას'' ბრალია,
რაც თქვენ ისულელეთო;
აბა ახლაც მოუხმეთ
და წამოიშველეთო.



### კუპლეტები.

(ველისციხელთათვის)

სხვა დაჩებთა შორის,
ველისციხეც დაჩობს.
ზაფხულში უწყლობა
გვალონებს და გვარჩობს.
ქერემ-ხევი დღე-დღე
გვიქადის წალეკას,
ნიშნათ გამარჯვების
ალაზანს ჩარეკას.
„ბოლნიცაც" გვაქვს სოფლის
ცალიერ შუშებით,
როცა გაგვაციებს
ცეცხლთან ვიშუშებით.
ჩვენში წარმოდგენა,
„გარეთ" იმართება,
და მიხვდებით ღრუბლში
რა დაგვემართება.
ქუჩებში ღამობით
უნდა ვლოდე ნელა,
ფარნის ბოძს მოხვდები
რადგან ძალზე ბნელა.
ჩვენი წიგნთ-საცავიც
უცებ გარდიცვალა,
„ვივესკის" შენახვაც
გახდა ხათაბალა.

მუშტი.

---

### მ ი ბ ა ძ ვ ა.

ტყეს გასცვივდა ფოთოლი,
პეტერბურგს დუმა ჰყივის,
ხულიგანთა ბანაკი
სიხარულითა ჰკივის.
ჩაჩუმებულა ხალხი,
ჩაქვავებია ხმები,
,,ზუბრთა'' ხმავ საზარელო
შენ როსლა ჩაქვავდები?!

ვ. მალაქიაშვილი.

---

### ბათუმის ავან-ჩავანი.

ამბობენ,—მთელ რუსეთში ბათუმის ბულვარს სილამაზით პირველი ადგილი უკავია, ბულვართა შორისო. ამ თქმულებას მე სრულიად ვეთანხმები. მოდი და ნუ მოგეწონება, შენი ჭირიმე, მაჰმადის მიერ დანაპირები სამოთხე, რომლის კარებში შესაჭიტინებლათ ყოველმა მართლმორწმუნემ დღე და ღამეში გამჩენს ხუთჯერ უნდა მოაგონოს თავი. მაშ ისე მუქთათ ხომ არვის ხვდება სამოთხე, როგორც ქრისტიანეას რომლებიც განურჩევლათ ეროვნებისა, წოდებისა, ღირსებისა, სქესისა და მიმართულებისა შიგ თავდაყირა მიცვივიან და, რომელთათვისაც საკმარისია, მხოლოთ, ვინმე წვერ-ცამეტამ ცოდვების გასაბათილებელი ქაღალდი გაიტანოს და ისიც შიგ თავმოგლეჯილი შლეჭას გაადენს. ბათუმის სამოთხეში შესასვლელათ არც პირველია საჭირო და არც მეორე. სწორეთ ამ საბუთით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ამ უსაბუთობით, შევედი ბათუმის ბულვარში, ერთ კვირა დღეს და სკამზე მოვიკალათე. ხალხი ბუნდ-გუნდათ და სეირნობდა, აქა-იქ მოსაუბრეთა ჯგუფიც მოჩანდა, სადაც ერთი, ან ორი ახალგაზდა ვინმე, უეჭველათ ცხარობდა,—ეტყობოდა ისინი პოლიტიკაზე კამათს გაეპილპილებია, მარა საქმე მუშტსა და მუჯლუგუნზე ჯერ არ მისულიყო, როგორც ეს ჩვენში-—არა სამოთხეში ხდება.

აი, მოდის ერთი გუნდი მოსეირნეთა. ის მამაკაცოვანია. მათი მორთულ-მოკაზმულობა და ორ სართულიანი კაკარდით შეიარაღებული სარქველი თავისა, გვიმტკიცეჲს, რომ ისინი მასწავლებელთა ხროვას ეკუთვნიან. გამომეტყველება და ლაპარაკის კილო გვარწმუნებს, რომ მათი „გონივრული“ მოსაზრებით მრავალი ახალგაზდა გამომშვიდობებია სასწავლებლის კედლებს. თავჩაქინდრული, თითქოს ქვეყნის ცოდვა ჩასწოლოდეს, უიმისოდაც ცოდვილ ქედზე, სჯიან და კიცხავენ იმ განაჩენს, რომელიც ასე რბილათ მოექცა შეგირდების საქმეს,—იმ შეგირდებისას, რომლებიც, ერთი-აქ მოსეირნე მასწავლებლის ავყიაობით, მოთმინებიდან გამოსულან და საპედაგოგო რჩევისათვის მფარველობა უთხოვიათ, ხოლო რჩევას, ამ „თავხმდობისათვის“, დაფარვისა წილ ისინი, მხოლოთ სასწავლებლიდან გარეკის მუქარით დაუტუქსავს.

ამას მეორე გუნდი მოყვება. ეს სტუდენტობაა. თმა გაჯენჯილი, ულვაშ გადაცქვიტინებული და გაზაფხულის კუროსავით გამოჯგიმული მოდიან და მოიმღერიან... არ ეშინიან მტერისა...... მხოლოთ ერთი საშიშარი მტერი შეიძლება გაუჩნდეს ყოველ სტუდენტს,—ეს არის, თუ „ბარიშნებმა“ მათზე გული აიცრუვეს. მარა სტუდენტობას ფიქრი არ აქვს, ბათუმში მას ეს მტერი თავის დღეში არ გაუჩნდება. და, რადგანაც მათხოვრობის სეზონი უკვე დადგა, ზუბიკოს ძმა ბიჭებიც ბლომათ მოაწვენ ბათუმს. (ერთი ამათგანი დღეს აპირებს კარისკარ ჩამორებას) ამათი ეშხით გაბრუებულ „ბარიშნებს“, აკაკისა არ იყვეს, ხომ აღარ ესმის „აცხა, აცხა“. ბოროტი ენები ამბობენ და რამდენათ მართალია არ ვიცი, ვითომც ერთ ამათგანს, სტუდენტებით გატაცებულს, ისე არევ-დარეოდეს დავთარი, რომ ერთ საქველმოქმედოთ დანიშნულ წარმოდგენაში ათჯერ აელოს როლი და ათივეჯერ უკან დაებრუნებიოს. ვაი, თუ ცხოვრებაშიაც ასეთ შეპირების და მოტყუების გზას დაადგა ეს „ბარიშნა“!

სტუდენტების გუნდს სხვა მოსეირნე მოყვა, იმას კიდევ სხვა და მერე კიდევ სხვა. მარა ყველას ამბავი რომ ამ ჟამათ აქ მოგიყვეთ შორს წავალთ. დანარჩენს დღეისწორს მოგახსენებთ.

ამ დროს მეგაზეთე ბავში მომადგა: „გაზიეთ, გაზიეთ!!“ ჩამომძახა და ორი რუსული გაზეთი მომაწოდა,—„Черном. Вѣстн.“ და „Черном. Голосъ“. რომელი ვიყიდო მეთქი, შევეკითხე! ორივე ერთიაო მითხრა. ორივე გამოვართვი და გადავხედე. მეგაზეთე მართალი გამოდგა: გაზეთები შინაგანძით ერთნაირი იყო, მხოლოთ ფორმატით განირჩეოდენ და ერთი მათგანი უკეთესს ქაღალდზე იყო დაბეჭდილი.

**ბლიკვაძე.**

---

## ს ი ზ მ ა რ ი.

(მიბაძვა აკაკისა).

ძმაო ეშმაკ! ძილში ვნახე
ხევის „გმირებს“ ჰქონდათ კრება,
და უნდა ვთქვა მათი ნახვა
ახლაც ისევ მეზიზღება.
სუფრას იჯდა ჩვენი აბრამ
,,საპრაზნიკოდ'' მოკაზმული
გვერდს უმშვენებს რჩეულთ გუნდი
და ამალა დარაზმული.
მარჯვნივ უსხდნენ მის ,,ტალ-კვესნი''
ჭირს და ლხინში განუყრელნი
სხვის ნაოფლარ-ჭირნახულის,
შემჭმელნი და ამლოკველნი.
მარცხნით უსხდნენ ,,ჩაგრულთ მხსნელნი''
ატარებდნენ ლხინსა ერთად,
გუშინ რასაც ზიზღს უთვლიდნენ
დღეს ის გაუხდიათ ღმერთად.
იქვე იყო თავ-მოყრილი
ჯოჯოხეთის მთელი ძალა,
ნიკოლადამ დაწყებული
თვით ტოტია ,,მაჩანჩალა''.
გამიკვირდა: მასწავლებლებს
იმათ გუნდში რა უნდოდა?
სამეგობრო ამ გმირებთან
ვერ მივმხვდარვარ მას რა ჰქონდა?
გამვლელი და გამომვლელი
ზიზღს უთვლიდენ შორიდანა,
და იმათი ნავარდობა
ესობოდა გულს ვით დანა.
გამეღვიძა. ჩემს თვალთა წინ
წარმომიდგა სინამდვილე
და დღეს სწორეთ ისე არის
რაც სიზმარში ვინახულე.

გიგოლი ავსაჯანოვი.

სტეფანწმინდა.

---

## ღია წერილი.

(პროვინციელ ეშმაკთადმი).

**ამხანაგებო!** ბევრი რამა მქონდა თქვენთან სათხოვარი, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე. ახლა იმედია მომისმენთ.

აი რა მსურს მოგახსენოთ:

1) ჩვენი ,,მათრახი'' პატარა მათრახია. მაშასადამე სიპატარავით რომ წუნი ვერ დასდონ, ვეცადოთ მეტად მწვავე იყოს.

2) ამასთანავე ერთი ,,მათრახი'' ვერ გადაწვდება იმდენ ზურგს, რამდენსაც ის ესაჭიროება. (ხომ ხედავთ ჩვენს მტრებს რამდენი მათრახები აქვთ?) ჩვენი მათრახი ვერ ჩაიტევს იმდენსა და ისეთ ვრცელ წერილებს რამდენიც და როგორიც დღეს მოსდის რედაქციას.

**ამიტომ საჭიროა მოკლე და მწვავე წერილები.**

3) კარიკატურის დამზადება დროს მოითხოვს. ჯერ მხატვარმა უნდა დახატოს, მერე ცინკოგრაფმა უნდა ამოსჭრას და ამას კარგა ხანი სჭირია. ამისათვის მაგალითად დღეს მიღებული მასალა მეორე კვირისთვის შეიძლება დამზადდეს.

**ამიტომ საჭირო სურათების გამოგზავნა უნდა დააჩქაროთ.**

4) პირადი ინტერესები ნუ გაგვიტაცებს. წერილიცა და სურათებიც საზოგადო ხასიათისა იყოს.

პატივისცემით მოხუცი **ეშმაკი.**

---

# დ ე პ ე შ ე ბ ი.

**სტეფანწმინდა.** დღეს, ადგილობრივ მამასახლისს ქრთამი არ აუღია.

**სამტრედია.** სოფელ ეწერში მწერალ-მამასახლისის თაოსნობით გაიმართა მიტინგი დრამა ფულის შესახებ. ხალხი დაჟინებით მოითხოვდა აღნიშნული ფულის გადახდას. მღვდლები და მამასახლის-მწერალი ცივ უარზე იდგენ. რადგან სხვა გზა აღარ იყო, მამასახლისმა სტრაჟნიკების დახმარებით ძლივს ათქმევინა ხალხს ვარი.

**ხევი.** მოსალოდნელია მღვდლებისა და დიაკვნების შეტაკება. მიზეზი ნადავლის განაწილება იქნება. წინეთ დიაკვნებს მესამედს აძლევდენ, ახლა კი მეოთხედათ გაუხადეს.

**ქუთაისი.** განზრახულია კიდევ ოთხი კლუბის გახსნა. ერთი არქიელს გორაზე, მეორე საფიჩხიაზე, მესამე სალორიაში და მეოთხე ებრაელთა უბანში.

**სამტრედია.** (21 ნოემბერი) სოფ. ეწერიდან გვაცნობებენ: ადგილობრივ ადმინისტრაციას განუზრახავს გადასახლება მელიტონ კაკაბაძისა, (ბრალდება მიტინგის გამართვა და მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვის წარმოთქმა) გერმანე კოპალეიშვილისა (ბრალდება სამტრედიის ციხიდან გაქცეულთათვის პასპორტის მიცემა) და მათე ფერულეიშვილისა. რომელსაც ბრალად ედება საიდუმლო ორგანიზაციის მოწყობა და სოფლებში არა ლეგალური ლიტერატურის გავრცელება.

სამტრედიის „ს. დ. რაიონულ ორგანიზაციას„ გადაუწყვეტია მოიწვიოს პეტერბურგიდან გამოცდილი ვექილები მათ დასაცავად, თუმცა თითონ ბრალდებულნი ვექ. გვაზავას არჩევენ.

**ფოთი ბათომი** და **სოხუმი.** ისეთი საზარელი რეაქციონური ქარი ამოვარდა, რომელმაც სულ დაგვავიწყა მთავრობის რეაქცია.

---



# წერილები ეშმაკისადმი

**ცაგერი** ძმაო ეშმაკო! ჩვენში ამ ჟამათ დიდი ამბებია! მოსალოდნელია ჩვენს სახელოვან თავად-აზნაურობას რუსეთის მთავრობასთან მალე შეტაკება მოუხდეს. სადაო საგანი ისაა, თუ ვინ უნდა იქნეს ლეჩხუმში მაზრის უფროსად! მთავრობამ ამ ცოტა ხანში ხუთიოდე დანიშნა, მაგრამ თავად-აზნაურობამ არც ერთი არ მიიღო და ბარე ორი კინალამ სკამით თავგატეხილი გაისტუმრა უკან! მაზრის უფროსს —ამბობენ „ზუბრები“—დიპლომში უნდა ეწეროს: თუ რა ნაირათ იცის მათრახის ხმარება, და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ხელდასმული ლეჩხუმის უხუცესისაგანაო‘‘ თავის მხრივ ,,ზუბრები‘‘ ურჩევენ მთავრობას გამოცდა მოახდინოს და თუ იმპერიაშიაც უკეთესი მათრახის მხმარებელი არ აღმოჩნდეს, მაზრის უფროსად კოწია დადეშქელიანი ან მელიტონ გარდაფხაძე დანიშნოს!

—

**ჭრებალო**. მაზრის უფროსზე ლაპარაკის შემდეგ არ შემიძლია, ძმაო ეშმაკო, არ გითხრა, რომ შენც გეკადრება ორიოდე მათრახი! აბა როგორი იქნება ეშმაკი და ჯოჯოხეთის კრების ამდენი დაკლება?!! უნდა ამოირბინო ხოლმე და როცა ჯოჯოხეთის კრებული ჭრებალოს ნადიმობს გაიგონო ტოლუმბაშის ,,რეჩი‘‘: ,,ღმერთმა აღდეგრძელოს ჩვენი ერთ ათ შეყრა, შეგვარგოს დედის რძესავით ელიაურის ხორცი და სისხლი, ილიკო ომანიძის 80 მანეთი, მელიტონა ფრუიძის 100 მანეთი, მელიტონა ჯინჭარაძის 20 მანეთი, გაუმარჯოს გარდაფხაძეებს, ძირს ,,ბუნტოჩიკები‘‘ და სხვა...‘‘ სწორეთ სამაგალითო სურათია!!

—

**უცხერი**. ტოლუმბაშის ,,რეჩის‘‘ მოსმენის შემდეგ უნდა შეიცანცალო და რამინ ჩიქოვანის საქველმოქმედო სალარო ნახო ხოლმე! ხომ ხედავ რავარი ფართე, წვითა და დაგვით მოგებული სამ მანეთიანი გადაისროლა ილია ჭავჭავაძის ,,ფონდში‘‘?!! ახლა გლეხებში უნდა ნახო ეს მინკრელსკის აგენტების ,,ბულბული‘‘ რა ხელ გაშლილია! ,,შტრაფს‘‘ მარტო ოთხოთხ მანეთს ახდევიებს, ,,სატყეოს‘‘ ერთი სამეულის მეტს არ იღებს, ქათმებს უფასოთ ყიდულობს, ,,დებულების ოქმში‘‘ რაც გლეხების სასარგებლო იყო სულ გააუქმა, მაგრამ საზოგადო საქმეში ხომ ხედავ რა ხელ გაშლილია! თუ საჭიროთ სცნო უცხუნე!

—

**ქუთაისი**. უცხერიდან კარგს იზამ, იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარიაში შევარდე. ცხადია ეუცხოებათ, მაგრამ მოახსენე: ,,ისარში‘‘ რომ სწერდით ,,ჩემი სახლის კარი ღიაა და ვისაც მღვდლებზე რაიმე სურს, მითხარი ასეთქო! განა ამ კარებთან არ მიიტანეს ჟოშხის და გენდუშის სასოფლო დადგინებები: მღვდელი ანტონ ქურციკიძის შესახებ თქვა‘‘. ვნახოთ რას გეტყვის... მართლაც როცა გლეხებს ცეცხლი წაუკიდეს ,,სულიერი‘‘ ცეკვავდა და იძახოდა: ,,ერთობა იწვისო‘‘; მაგრამ განა მარტო ესა? უუმემკვიდრო გლეხის ფირანა გორგიანის მემკვიდრეთ თავი გამოიცხადა და ათ საჟენზე გაძლოლაში 180 თუმნათ ღირებული სახლი ითხოვა?!! ისე კი არ იკითხო რომ ეწყინოს, რადგან ამის შესახებ ყოვლად სამღვდელოს ბლაღოჩინმა გულბანმაც, მოახსენა: მღვდელსა და მრევლს ერთმანეთი ძულს და არ შეიძლება ქურციკიძის დარჩენაო?!! მათრახი გარეთ დატოვე.

**ნაცნობი.**

—

**ფოთი**. ძმაო ეშმაკო! ნუ დაგეზარება თუ ღმერთი გწამს და ერთი ჩამოირბინე ამ მოკლე ხანში. საქმე იმაშია, რომ აქაურმა „ჭეშმარიტმა“ ქართველებმა „სახალხო უნივერსიტეტის“ გახსნა განიზრახეს. საგნები უმთავრესად ქართულ ენაზე იქნება. „ფრაპისა“ და „ბაქარას„ ლექციებზე ახლავე ჩაეწერა კარგა ბლომათ ხალხი. ლექტორებიც კარგები არიან. წევრათ ჩაწერა შეიძლება: საპატიო წევრნი კლუბის დარბაზში; საშვალო „ევროპის სასტუმროში“ ხოლო დაბალთათვის დანიშნულია ივლიანეს ყავახანა. საწევრო გადასახადი სამი კალოდა კარტი.

საყურადღებოა აგრეთვე პოლიციის ბრძანება, რომლითაც მოქალაქეებს ევალება დღე ძილი და ღამე ფხიზლობა რომ ონისიმე ჟვანიას და $K^0$ დიდხან კარებზე ბრახუნი არ დასჭირდეს.

შეიარე აგრეთვე ბუხტში იქ ერთი კანტორის მოხელეა გასამათრახებელი და შემდეგ სადაც გინდოდეს იქით მიიგრაგნე.

**სუსტი.**

**ლაილაში.** თქვენო უხილაობავ! ყურთა ჩვენთა ცოდვილთა ესმათ ამბავი ფრიად სასიხარულო: თურმე ფრეთები აგიწყვია

პროვინციის მოსავლელათ.
თუ ძმა იყო, გვეედრები
არ დამტოვო უნახველი.

პირდაპირ ლაილაშში ჩამოხტი და თუ ყველას ერთად ვერა, (რადგან მრავალ არს რიცხვი მათი) იასონს, სარიდანს, პეტრეს, ეგვიტოს და სხვ. მაინც ნახავ. თუ ძმა ხარ ყველას ამოხვევინე შენი მათრახის წვერზე.

იქვე ნახავთ ვაჭარ ნიკოს,
(რეაქციას რომ სვამს ყანწით,)
და ხელობას თუ არ შესცვლის,
მიაყოლეთ და მიარტყით.

აქ სხვაც არის ნიკო და იმედია არ შეგცთებათ, რადგან სხვებზე არც ღირს მათრახის კუდის გაცდენა.

ავი ზნის არის ნიკო ვაჭარი
გაზეთებსა მტრობს ის ნამეტნავათ
და თუ დაურჩა რამე სახსარი
არა დაინდობს მას დასაწვავათ.

გაზეთების დაწვას ვინ ჩივა სხვა რამ რომ არ იცოდეს შესახებ ცნობათა გადაცემ-გადმოცემისა.

სიმართლემან მისმან აცხოვნოს ნიკო და ამის მიხედვით მოიქეცი ისე, როგორც საჭიროთ დაინახავ.

**ოტსტავნოი.**

—

**ცაგერი.** ლეჩხუმელ „ზუბრთა“
ციხეს და საგერს
ძმაო ეშმაკო
ეწვიე ცაგერს.

მაგრამ სისასტიკეს ნუ გამოიჩენ ზომაზე მეტს. მაგალითად ბიქტორ ყრუაშვილი და ვანო ხუცესი არა ღირს არიან შენი მათრახის შეხებისა, მაგრამ საპყრობილის მეთვალყურეს მდივანს ხელს ნუ დააკლებ.

შემდგომ ამისა თუ დრო დაგირჩეს
ეს ხათრი დაგვდე კიდევ სულყველას,
ტარას-გიორგის და გრამატონის
ნუ დაიზარებ მაგრა დაზელას.
მარადის თქვენი მოვლინების მოლოდინე

**ოტსტავნოი.**

—

**გორი.** ამხანაგო! ჩვენი ქალაქის სამართველოს წვრილმა მოსამსახურეებმა ამ დღეებში კრება გამართეს და დაადგინეს: ვინაიდან მდიდრების წარმომადგენელმა ხმოსნებმა: ზუალოვმა, ცერცვაძემ, თუმანოვმა და სხვებმა ხელთ იგდეს მსუქან-მსუქანი ადგილები და უზრუნველ-ყვეს თავისი ეკონომიური მდგომარეობა, ხოლო ჩვენი კი უკიდურეს სიღარიბეს განვიცდით, ამიტომ შევადგინეთ ერთი ჯგუფი, რომელსაც მიზნათ აქვს „ვიმოსარჩენის“ და ვაცანცვლის თეორია და პრაქტიკა აწარმავოს.

ასეთი მოქმედებისათვის ხმოსნები ვერაფერს გვეტყვიან, რადგან (თუმცა ნა ზაკონნომ ოსნოვანიე მაგრამ) თითონაც მდიდრდებიან. პოლიციასთან კეთილი განწყობილება ხელს გვიწყობს ამ კეთილ საქმეში და რეაქციის გამო აღარც ხალხის შიში გვაქვს.

**შენი ალი ფაშა.**

—

**კავკავი.** ბ. ეშმაკო, თქვენ მთხოვთ სტატისტიკური ცნობები გამოგიგზავნოთ სად რამდენი ქართული გაზეთი ვრცელდება: ვასრულებ თქვენს დავალებას: კავკავში 600 მცხოვრები ქართველია, მისდით ერთი ცალი გაზეთი „წყარო“. ,,ისარი‘‘ თუ არ ვცდები ორი ცალი. რაც შეეხება ,,ეშმაკის მათრახს‘‘ ან ,,ეკალს‘‘, რადგანაც ,,მათრახისაც‘‘ ეშინიანთ და ,,ეკლისაც‘‘ არც ერთი მისდით და არც მეორე.

კავკავის ქართველობას გადაუწყვეტია ,,ნარკანი‘‘ ,,ვაენოპოლევოი‘‘ ,,სუდში‘‘ მისცენ, რადგანაც მან იქაური საზოგადოების მოთავეებს მარილით ამა ქვეყნისას შეურაცყოფა მიაყენა თავისი ფელეტონით გაზეთ ,,წყაროში‘‘.

**თელავიდან.** მოგეხსენებათ თელავში უთვალავი ,,კასები‘‘ არის დაარსებული, (კასა სიკვდილისა, კასა სიცოცხლისა, კასა ქორწინებისა, კასა დაბადებისა, კასა მატყუარობისა, კასა შანტაჟისა და სხ...) ყველა ამ კასების დამაარსებლებს პროფ. კავშირი დაუარსებიათ.

კავშირის მიზანია: „ბლაღოროდნი შანტაჟი“, წევრებათ მიიღებიან: ბრუციანი დადაქები, უფულო და უსაქმურნი კოტრი დადალ-ბაზაზები. ოტსტავნოი უჩიტლები მასთან ჩარჩ-აბლაკატები. ერთის სიტყვით ვისაც სწამთ ბლაღოროდნი შანტაჟები.

---

**ერ. წოს. გმირები.**

ორნი არიან
ტოლნი არიან
ერწოს დადიან და იმღერიან
ხალხს ატყუებენ
და ატყავებენ
თან მელასავით კუდებს აქნევენ.
ერთხელ ესენი
(ხევსურთა სენი)
იყვნენ ერთობის თანამგრძნობლები
მაგრამ დღეს
დაივიწყეს
ჩვენი ახალი ადათ-წესები
მჭიდრო კავშირი
ერთი პირით
პოლიციასთან შეჰკრეს გმირებმა.
მაძლარ არიან
და იხარიან
იდარდოს გლეხმა ანატირებმა.

**სოფლელი ამხანაგი.**



**წერილი რედაქციას.**

ამხანაგო რედაქტორო
„ეშმაკისა მათრახისა“!
თქვენ ჟურნალში ყური მოვკარ
წერილს ვინმე ტრაბახისა.
თურმე სამართალში მიწვევს
უგემურათ ვიღაც პეტრე,
და მიჩივის: რა საბუთით
მას მათრახი მოვახვედრე.
მოახსენეთ: დასდვას ვადა
გვიანა სურს ან თუ ადრე,
მსაჯულებათ ვინ დანიშნა
სოფრომა თუ ალექსანდრე.
თან ადგილი დამინიშნოს
სად ექნება ჩემზე სუდი,
რომ მსაჯულებს მოვახსენო
ჩვენი უბნის საქმე ცუდი.
დანარჩენებს თავის დროზე
პირად ვეტყვი სასამართლოს.
მერე ნება იმისია
გამკიცხოს თუ გამამართლოს.

თითონ იცის.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**თ. ბოლქვაძე.**

---

მიიღება ხელის მოწერა
ყოველ-კვირეულ, იუმორისტულ, კარიკატურებიან ჟურნალ

„ეშმაკის მათრახ“-ზე

ჟურნალი ღირს ერთი წლით—5 მანეთი
ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ.

ვინც 1908 წლისათვის გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს გამოუგზავნის რედაქციას, ამ წლის „ეშმაკის მათრახი“ 1-ლი ნომრიდან უფასოთ გაეგზავნება.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე „შუამავლის“ და „შურდულის“ ყველა ნომრები, რომელიც გაეგზავნება მსურველს თითო შაურათ.

ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

Тифлисъ въ редакцію жунала „Ешмакисъ Матрахи“ Михайловская 65.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65.